N 271 07/08/2018

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 9

დ. ჩოხატაური **30 ივლისი, 2018 წელი**

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

სხდომას ესწრებოდნენ: დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე,ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე, გოჩა მეგრელიშვილი.

არ ესწრებოდა: ალექსანდრე შარაშიძე, კლოდი მდინარაძე,ზვიადი მამალაძე, მარინე ბერაძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე,

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ნიკოლოზ დუმბაძე- სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი.

ანა თავართქილაძე- ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3. მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიძემ, ლია ჩიგოგიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

3. მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძე დაინტერესდა: დაახლოებით რა თანხა იქნება ბიუჯეტში სამომავლოდ დასამატებელი.
ვლადიმერ სიხარულიძე- 40,0 – 50,0 ათასი ლარი იქნება მთლიანად წელიწადში. დამატებით ემატება 3,0 -დან 4,0 ათას ლარამდე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

II საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, ხელთ მაქვს 2017 წლის 28 დეკემბრის საკრებულოს სხდომის ოქმი №22, სადაც მერს მივმართე კითხვით: ,,გასულ წელს ჩვენ მივიღეთ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდი ტექნიკა“. მაინტერესებს, 2018 წელში ვალდებულება გვქონდა თუ არა აღებული თანხის გადახდის და იწყებოდა თუ არა ამ თანხის გადახდა; მერმა მიპასუხა: მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდი ტექნიკის თანხის გადახდის ვალდებულება წელს არ გვაქვს აღებული, თუმცა აპრილის თვეში გადავიხადეთ ფული. მერმა არ იცოდა აღნიშნული თუ ტყუილი თქვა საკრებულოს სხდომაზე? გავეცანი ხელშეკრულებასაც, სადაც არის გადახდის გრაფიკი, რომელსაც ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი.

მაია გოგოლაძე- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 24 აპრილს მივიღეთ წერილი და ამ წერილის საფუძველზე გახდა ცნობილი, რომ თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო სასწრაფოდ 30 აპრილამდე. ამის შემდეგ მოვითხოვეთ გრაფიკიც. რაც შეეხება ხელშეკრულებას, არ იყო საფინანსო სამსახურში ეს ხელშეკრულება და შესაბამისად, არ ვიცოდით.

ირაკლი ახობაძე- ა .(ა)ი.პ.-ების რეორგანიზაციაზე მივეცით თანხმობა მერიას. გაზეთ ,,გურია ნიუსშიც“ დაიბეჭდა, რომ ამ რეორგანიზაციის შედეგად გაკეთდა 150, 0

ათასი ლარის ეკონომია. აღმოჩნდა, რომ ამ ცვლილების თანახმად კი 130, 0 ათას ლარს ვუმატებთ ა(ა)ი.პ.-ებს. ესაა ეკონომია?!

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 26

(მ.კუტუბიძე, ი.ახობაძე, ლ.ჩიგოგიძე, გ.მეგრელიშვილი)

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბერის №53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

III საკითხი: მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

3. მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, ირაკლი ახობაძემ, მანანა მინდაძემ.

მიღებულია განკარგულება: მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა